რამდენიმე დღის წინ სტარტი აიღო სექტემბრის ბაშომ, რომელსაც ქართველი სუმოსტი ლევან ცაგურია (კოკაი) ახალ რანგში შეხვდა. მაისის ბაშოზე მიღწეული წარმატების შემდეგ კოკაიმ რეიტინგში საკმაოდ წინ წაინა და სექტემბრის ბაშოზე კომოსების სტატუსით ასპარეზობს.

შეჯიბრების პირველი ოთხი დღის შემდეგ ქართველ სუმოსტს კარგი მაჩვენებელი აქვს. იმისთვის, რომ ლევანმა კომოსების ტიტული შეინარჩუნოს, სექტემბრის ბაშოზე დადებითი მაჩვენებელი უნდა ჰქონდეს. ხოლო თუ ბაშო სოლიდური დადებითი ბალანსით დაასრულა, შესაძლოა რეიტინგში კიდევ უფრო წინ წაინოს.

ასპარეზობის ოთხი დღის შემდეგ კოკაის სამი გამარჯვება და ერთი მარცხი აქვს. ის ერთადერ-

თი მარცხიც ლევანმა მსოფლიოს საუკეთესო სუმოსტ ასოშირის უსთან განიცადა, რომელსაც პირველ დღეს დაუმორისპირდა. შემდეგ კოკაიმ ჩოლტაკია და კაიო დაამარცხა. მნიშვნელოვანი ორთაბრძოლა გამართა კოკაიმ გუშინ. მისი მეტოქე ალმოსავლით კონფერენციის სეკივაცე მიახამა იყო. ლევანმა შეძლო მეტოქის დამარცხება და შეჯიბრების ოთხი დღის შემდეგ ლიდერთა ჯგუფშია.

დღეს ქართველ გოლიათს კიდევ ერთი სერიოზული გამოცდა ელის. მისი მეტოქე იქნება ოქცი პაკუპო, რომელიც, ისევე როგორც კოკაის, ოთხი ბრძოლის შემდეგ სამი გამარჯვება აქვს. რაც შეეხება სტატისტიკას, წელს კოკაი სამჯერ დაუპირისპირდა ჰოკუსო და სამჯერეც დამარცხდა.

## ვასილ უღვათაძე

ფინეთში გამგზავრებამდე საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გორდონ ჰერბერტმა გვითხრა, ფინელებს დავამარცხებთ, თუ გუნდური კალათბურთი ვითამაშეთო...

სამწუხაროდ, სწორედ გუნდური თამაში ვერ ვნახეთ, უფრო სწორად, საქართველოს ნაკრები არ წააგავდა გუნდს, კალათბურთის კი მხოლოდ ზაზა ფაჩუღია თამაშობდა, მაგრამ ეს იმის ბრალი როდია, რომ ზაზა ინდივიდუალისტია და გუნდურ კალათბურთს არ თამაშობს. უბრალოდ, როცა მთელ გუნდს არაფერი გაემოყვინდა, ნაკრების ლიდერი იძულებული გახდა თამაში თავის თავზე აეღო. 33 ქულა და 13 მოხსნა, ბრწყინვალე შედეგია, მაგრამ რად გინდა, ზაზას თანაგუნდელებმა ვერ აუბეს მხარი. ნათქვამია - მარტო კაცია ჭამამოც ბრალი და გუნდის თამაშიც ამას ნათელი დასტურია.

ფინეთთან თამაშის დაწყებამდე მშვენივრად ვიცოდით, რომ ეს გუნდი სამქულიან ტყორცებზე გააეკეთება აქცენს. ამ ვითარებაში საკმაოდ დიდი დატვირთვა მოვდოდა დაბლებზე, სწორედ საქართველოს ნაკრების დაბალი კალათბურთელები არ წაუფლიათ თამაში. ცინცაძე საერთოდ საკუთარ არდილს შვავდა, ვერც ელისმა გვიჩვენა თავისი საუკეთესო მხარეები და ვერც გამარჯვებამ. ამ ვითარებაში ფინეთის ნაკრების მსრო-

# ფინური ფიასკო

ფინეთი - საქართველო 91:81

ლელებმა გაილაღეს და შედეგიც სახეზეა.

საქართველოს ნაკრებმა და მისმა მწვრთნელმა ვერ შეძლეს მთავარი - ფინეთის ნაკრების სწავლების შეჩერება. არადა ეტყობა ფინეთის ნაკრებში ყველა კარგად ისერის. ამჯერად რანიკოს თამაშიდან გამოთიშვა გამოვიდა, მაგრამ სასწაულებს ახდენდა ვირკანენი. ამ კალათბურთელმა, ფაქტობრივად, არც ერთი ტყორცა არ გაფუჭა. შესაძლოა მისი კარგი თამაში ჩვენი გუნდისთვის მოულოდნელიც იყო, ვინაიდან აქამდე გამართულ შეხვედრებში ვირკანენი შედეგიანობით არ გამოირჩეოდა. ასეა თუ ისე, გულშემატკივარმა თავადაც ნახა რა მოხდა. ფინელებმა სწორედ გუნდური თამაშით დაგვეჯახნეს. ფინეთის ნაკრები, ცენტრები ფაჩუღიას წინააღმდეგ რომ ვერაფერს გახდებოდნენ, ეს ჩვენი მეტოქის მწვრთნელმა კარგად იცოდა და აქცენტი სწორედ სამქულიანებზე გააკეთა.

აქვე ერთ დეტალსაც აღვნიშნავთ. მიღებულია, რომ მსაჯი გარკვეულწილად მასპინძელ გუნდს უდგება ხელში. მაგრამ გუნდში შეხვედრის არბიტრებმა ყველა სადავო მომენტი ფინელეთის სასარგებლოდ განსაჯეს, რამაც ჩვენი კალათბურთელებზეც იმოქმედა. სამი ტექნიკური ჯარიმა ერთ თამაშში ძალიან ბევრია. ალბათ კალათბურთელებიც უნდა ყოფილიყვნენ ფსიქოლოგიურად იმისთვის მზად, რომ მსაჯი ფინელებს მიემხრობოდა და საქირო მომენტში ნერვები მოეთკათ.



მარტო ფაჩუღია რას გახდებოდა?

მთლიანობაში მატჩმა კარგი შთაბეჭდილება ნამდვილად არ დატოვა, საქართველოს ნაკრებმა საკმაოდ სუსტად ითამაშა და თუ ფაჩუღიას არ ჩავთვლით, დანარჩენებს თითქმის არაფერი გაუკეთებიათ. ფინელებმა სკამითაც დაგვჩაგრეს. ყველა ფინელი, რომელიც შეცვლაზე გადაიდა, მოედანზე საქმეს აკეთებდა, ჩვენი გუნდში კი ეს არ ჩანდა. ამჟრამ, რომ სანიკიძემ შესაძლებლობების მიწიშეში აჩვენა, ცინცაძეზე კი ზემოთაც მოგახსენეთ, ვერც ცქიტინგივითა დაგვანახა თავისი სიძლიერე და ყოველივე აქედან გამომდინარე ფინელების გამარჯვება ლოგიკურად უნდა ჩავთვალოთ.


ერთი კეა, შეხვედრის მეორე ნახევარში ჩვენმა კალათბურთელებმა ოდნავ მაინც შეამციერეს ანგარიში და მხოლოდ ათი ქულით წააგეს. როგორც იცით, მომავალ წელს საქართველოს ნაკრებს მორიგი ოთხი მატჩის გამართვა მოუწევს, სულ ბოლოს კი სწორედ ფინეთის ნაკრებს დაუპირისპირდება, უკვე თბილისში და იმედია განახლებულ მორტის სასახლეში. მოკლედ, მომავალ წელს მეტოქეს სულ ცოტა 11 ქულით უნდა მოუვგოთ, რათა ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავოთ. წესით ეს შესაძლებელია.

ახლა აღარ ღირს იმაზე საუბარი, რომ შესაძლოა საქართველოს ნაკრები მეორე ადგილიდანაც გაიყვანოს ფინეთთან. ამჟრამ, რომ ფინეთის ნაკრებს საკუთარ მოედანზე საქირო ანგარიშით უნდა მოუვგოთ.

# "ტიტოს" და ოსკარს ჩხუბი უნდათ და არც უნდათ

მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა სამ სხვადასხვა წონით კატეგორიაში ფელიქს "ტიტო" ტრინიდადმა, რომელმაც შარშან მასში საკუთარი კარიერა დაასრულა, ორი დღის წინათ საკრიგო სამყაროს ამცნო რინგზე დაბრუნების სურვილი და იქვე დასძინა, ხელთათმანებს იმ შემთხვევაში მოვირგებ ხელზე თუ პირველი საშუალო წონაში კრივის მსოფლიოს საბჭოს (WBC) ჩემპიონ ოსკარ დე ლა პოისთან მახუბებით.

თავი არასდროს ამირიდებია. ექვსჯერ შევთავაზე შეხვედრას, მაგრამ ყოველთვის უარს ამბობდა. ახლა, როდესაც იცის, რომ კარიერა დავასრულე, ჩემთან ჩხუბი მოუწია, - აცხადებს ტრინიდადი. - მან იცის ჩემი პირობები და იცის ვინაა ჩემი პრომოუტერი. ჩვენი ორთაბრძოლა კი შედეგება მხოლოდ საშუალო წონაში და არა სხვა ქვედა წონით კატეგორიაში, რადგან ესაა ჩემი წონა".



ტრინიდადი ოსკართან ჩხუბის შესაძლებლობას არ გამორიცხავს.

სხვათა შორის, როგორც "ოქროს ბიჭუნა" აღნიშნავს (დე ლა პოის ასეც მოიხსენიებენ. რედ.), გამოსათხოვარი მატჩისთვის (ნეუსით და რიგით მასში უნდა შედეგს. რედ.) ფლოიდ მეიუტერ-უმ-ცროსი და ფელიქს ტრინიდადი ის ერთადერთი კანდიდატები იქნებიან, რომლებთან ჩხუბის შემდეგ პენსიაზე წასვლას ისურვებდა. და თუ ორივე მათგანი ჩემთან ჩხუბს არ დათანხმდა, რინგზე აღარ გამოვალო.

"მოდი, ასე ვთქვათ, ექვსჯერ ამჯირდება ტრინიდადი, მაგრამ თუ მას დემონებთან გამკლავება სურს, რომლებიც ჩვენი პირველი დაპირისპირების მერე ფხვდაფხვდა დაყვებიან, მაშინ უნდა შემერკი-

ნოს. მართალია, ტრინიდადთან ჩხუბი სულაც არ მჭირდება, მაგრამ შესაძლოა, მასაც არ ვჭირდეთ. არ ვიცი, რა როგორ იქნება, მაგრამ თუ მას ჩემთან შეხვედრა უნდა, შეგვიძლია მოლაპარაკებები დავიწყოთ".

ოსკარმა დაადასტურა ტრინიდადის სიტყვები იმასთან დაკავშირებითაც, რომ პირადი შეხვედრებისას მათ არასდროს განუხილავთ რევანშის შესაძლებლობა. და კიდევ ის, რომ მისთვის საინტერესო იქნებოდა თავად შეხვედრის ტრინიდადს და ჰკითხოს რას ფიქრობს ყოველივეზე და რა განუზრახავს. ამასთან, არც უკმაყოფილება გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ ფელიქს მხოლოდ საშუალო წონაში ჩხუბზეა ყაბუღს.

"თუ მას საშუალო წონაში ჩხუბი სურს, ასე იყოს. ვიქნები სწრაფი და ვიცი, რომ მასზე ძლიერიც ვარ, რადგან რიკარდო მაიორგას ნოკ-დაუნში გამგება შევეცი, მან კი ვერა (დე ლა პოის მაიორგას წლებს 6 მაისს შეხვდა, ტრინიდადი კი 2004 წლის 2 ოქტომბერს. რედ.). საკმაო ჭკუა მაქვს რინგზე გაუკეთოს ის, რასაც მოვისურვებ".

## International Finance Corporation

### a Member of the World Bank Group

#### seeks candidates to fill the following Tbilisi-based positions for its GEORGIA CORPORATE GOVERNANCE PROJECT

**Deputy Project Manager:** assist in overall project management, strategy, planning activities, managing consulting staff, client relations.

**Requirements\*:** Professional degree; 5 years work experience, preferably in a management role; knowledge of corporate governance and/or banking; work experience in consulting or technical assistance work is an asset.

**Legal Advisors - Bank / Company:** provide consultations to banks / companies; review & draft charters & by-laws; develop project materials & tools; deliver seminars. Duties also include analyzing regulations / legislation & providing recommendations; writing articles.

**Requirements\*:** Georgian Law degree; 3-5 years of experience in areas of banking / corporate law, securities or finance; good knowledge of corporate governance; strong communication / analytical / presentation / drafting skills.

**Banking & Finance / Financial Disclosure Specialists:** provide consultations to banks / companies on internal control, audit, credit risk, financial disclosure & reporting; develop materials & tools; deliver seminars. Duties also include assisting legal advisors in analyzing legislation, writing articles.

**Requirements\*:** Professional degree; 3-5 years relevant experience in controlling, audit, credit risk management in the financial sector or an international accounting firm; good knowledge of financial reporting & corporate governance; strong communication / analytical / presentation / drafting skills.

**Communications Specialist / Operations Coordinator:** responsible for planning & implementing a public relations campaign, organizing press events; tracking results, designing & implementing database; designing, developing & maintaining project website; coordinating & overseeing project surveys. Duties also include preparing all PR & presentation materials, coordinating a quarterly publication, developing relationships with the local press.

**Requirements\*:** Degree in Communications/Journalism or related field; 3 years experience in public relations, preferably for an international company or technical assistance organization; well-developed contacts within Georgian media / press; strong organization skills.

**Team Assistant:** responsible for providing administrative support including maintaining correspondence, reports & project files, arranging & facilitating meetings, coordinating travel, assisting in organizing events, and using IFC's accounting, travel and time registration systems.

**Requirements\*:** Minimum 2-3 years work experience in office assistant role, preferably for international company or organization,; university/college degree; well-organized and with good communication skills.

**Driver:** Minimum 3 years work experience as a driver for an international organization. Own automobile that is kept clean and in good working order, with working seat belts in front & back. Fluent English is an advantage.

\*All positions require fluency in English and Georgian (both written and oral) and excellent computer skills. International study or work experience would be an asset.

**IFC offers a stimulating work environment and internationally competitive terms. For information, visit [www.ifc.org/eca](http://www.ifc.org/eca)**

**Send resume and cover letter by fax: +7 (495) 411-75-65 or e-mail: [SMERecruit@ifc.org](mailto:SMERecruit@ifc.org).**

**Please indicate the project and position title in the subject line.**

**Closing date: September 30, 2006.**

დენილსონი "პორტსმუთში" ვარჯიშობს

ბრიტანული პრესის ინფორმაციით, ბრაზილიელი ნახევარმცველი დენილსონი პრემიერლიგის "პორტსმუთთან" ერთად ვარჯიშობს. ფრანგულ "ბორდოსთან" კონტრაქტის დასრულების შემდეგ 29 წლის ფეხბურთელი "სელტიკი" და "ტოტენჰემში" იყენებდნენ, თუმცა ვერც ერთმა მათგანმა დენილსონთან შეთანხმება ვერ მიაღწია. "ის ჯერ მხოლოდ ვარჯიშობს და ზუსტად ვერ გეტყვით, დარჩება თუ არა ჩვენთან", - განაცხადა "პორტსმუთის" მთავარმა მწვრთნელმა პარი რედამპმა. თავის დროზე დენილსონი მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელი იყო. ბრაზილიელი ნახევარმცველის სანაცვლოდ ესპანურმა "ველისმა" 20 მილიონი დოლარი გადაიხადა. რედამპის თქმით, კლუბი ასევე დაინტერესებულია არგენტინელი "რივერ პლეიტის" კოლუმბიელი ნახევარმცველი პატინიოთი. კოლუმბიის ნაკრების ფეხბურთელი ინგლისურ კლუბს თავისუფალი აგენტის სტატუსით უახლოეს დღეებში შეუერთდება.

კლინსმანი მწვრთნელობას დაუბრუნდება

ბერლინში მიმდინარე ფიფას მიერ ორგანიზებული მწვრთნელთა კონფერენციაზე იურგენ კლინსმანმა განაცხადა, რომ საბოლოო დამბრუნდება საწვრთნელ საქმიანობას. "ამერიკაში დაბრუნების შემდეგ ჩემს ძველ საქმიანობას - საკონსულტაციო კომპანიის ხელმძღვანელობას დავებრუნდი, თავისუფლად დროს კი პაემებში სკოლაში დამყავს. თუმცა, არ გამოვირცხვავ, რომ 2010 წელს საზღვრეთ აფრიკაში გამართულ მუნდიალზე ჩემს მიერ განვრთნილი რომელიმე ქვეყნის ნაკრები კვლავაც იასპარეზებს", - განაცხადა კლინსმანმა.

ლუსიო დისკვალიფიცირებულია

მიუნხენის "ბაიერნის" ბრაზილიელ ლეგიონერს ლუსიოს გერმანიის ფეხბურთის კავშირმა ქვეყნის თასზე სამმეტრიანი დისკვალიფიკაცია მოუსაჯა. ბრაზილიელი ფეხბურთელი გერმანიის თასის 1/32 ფინალში "ზანკტ-პაულთან" მატჩში უსაქცილობისთვის მსაჯმა მოედანდან გააძევა. გერმანიის ფეხბურთის კავშირის გადაწყვეტილების გასაჩივრება მიუნხენის "ბაიერნს" 24 საათის განმავლობაში შეუძლია.

ხენაიუნი "ვესტ ჰემში" ითამაშებს

ბრიტანული გამოცემა "ვარდიანის" ინფორმაციით, ისრაელის ნაკრების კაპიტანი იოსი ბენაიუნი კვირის ბოლოს ინგლისურ "ვესტ ჰემთან" ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს. 26 წლის ფეხბურთელი მანამდე სხვა ინგლისური კლუბებში - "ლივერპულში" და "არსენალში" იყენებდნენ დაინტერესებულნი, თუმცა ბენაიუნმა "ჩაქუჩებზე" შეაჩერა არჩევანი.

"სიტის" მცველი მ მატჩით დაისაბა

"მანჩესტერ სიტის" მცველი ბენ ტეტჩერი "პორტსმუთის" მცველის პედრო მენდესის წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის მ-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. პრემიერლიგის მეორე ტურში გამართულ "სიტის" - "პორტსმუთის" შეხვედრაში ტეტჩერმა მენდესის სახეში გაარტყა, რის გამოც მსაჯმა მას ყვითილი ბარათი აკმარა. თუმცა, მოგვიანებით ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ "მანჩესტერ სიტის" მცველს მკაცრი სასჯელი გამოუტანა, რომლის თანახმად, ტეტჩერი კლუბს რვა მატჩში ვერ დაუბრუნდება.



# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

995 32 31 93 90  
995 32 31 93 86  
899 26 20 19

ბაზოციონის ოფისიალური პარტნიორები:



მარლონ კარტინორობა "Crazy Frog" ბაზაში

დღეს რუბერტ მერდოკის News Corporation-მა მობილური კონტენტის Jamba-ს აქციები შეისყიდა. კომპანია Jamba ფართო მასშტაბის ცნობილი მას შემდეგ გახდა, რაც მან შეეცადა სატელევიზიო დიზაინერისგან ერიკ ვერნკისგან დაეხმარებოდა პოპულარული ანიმაციური პერსონაჟის, ყველასათვის ცნობილი "Crazy Frog" (გიჟი ბაყაყი) გამოყენების უფლება ოფიციალურად მიიღო. "გიჟი ბაყაყი" წყალობით კომპანია Jamba-ს ფინანსური მდგომარეობა საგრძობად გაუმჯობესდა. პროდუქციის რეალიზაცია 2003 წელს 40 მილიონ, 2005 წელს კი 500 მილიონ დოლარამდე გაიზარდა. Guardian-ის ინფორმაციით, კომპანია, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ბაზარზე სავაჭრო მარკა Jamster-ის სახელით არის ცნობილი, News Corporation-ს აცხადებს 51 პროცენტს 187,5 მილიონ დოლარად მიყიდის. კომპანიაში აცხადებენ, რომ Jamba თავის ბრენდს შეინარჩუნებს, გაერთიანებულ კომპანიაში News Corporation-ის მობილური კონტენტის განყოფილების ხელმძღვანელი ლუსი ჰუ-დი უხელმძღვანელებს.

## ტურისტების რიცხვი იზრდება, ინვესტიციების - ჯერ არა

საქართველოს 103 კურორტიდან უცხოელები მხოლოდ რამდენიმეს სწყალობენ

აკა ქავანიშვილი

საქართველოში 103 კურორტი, მათგან კი დაახლოებით ათი ნორმალურად მოქმედებს. ამ ათიდანაც ბოლომდე გამართული ინფრასტრუქტურა დიდ ნაწილს არა აქვს. მათგან ზოგიერთამდე მისასვლელი გზაც არ არსებობს. თუმცა, მოუხედავად ამისა, ოფიციალური სტატისტიკა ამბობს, რომ ტურისტების რაოდენობა ქვეყანაში, წინა წელთან შედარებით, პირველ ექვს თვეში 37,6 პროცენტით გაიზარდა.



B2

რამდენიმე წლის წინ "ტასისის" მიერ ჩატარებულმა კვლევამ ასეთი სურათი აჩვენა: ქვეყანაში საშუალო გზით შემოსული უცხოელი, ტრანსპორტირების გარდა, 946 დოლარს ხარჯავს. სხვა ტრანსპორტით შემოსული - 260 დოლარს. თუ ამ თანხას შემოსულთა რაოდენობაზე გადავამრავლებთ, გამოვა, რომ მათ მიერ ბიუჯეტში შეტანილი თანხა 300 მილიონი დოლარია წელიწადში.

### Nike 570 ათასი დოლარით დააჯარიმეს

სპორტული ტანსაცმლისა და ატრიბუტიკის მწარმოებელი კომპანია Nike ლონდონის ქალაქის საბჭოს 300 ათას ფუნტს (570 ათას აშშ დოლარს) გადაუხდის. საქმე ეხება დიდი ბრიტანეთის დედაქალაქის ერთ-ერთ რაიონს, რომლის სიმბოლოც კომპანია Nike-მა არასანქცირებულად გამოიყენა. ამის შესახებ ინფორმაციას გამოცემა Times Online-ი ავრცელებს. გამოცემის ინფორმაციით, კომპანია Nike-მა 2006 წლის ფებრუარის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე შექმნილ ფეხბურთის ფორმაზე ლონდონის ერთ-ერთი რაიონის ეკნის სიმბოლოც გამოიყენა. ამ გზით კომპანია Nike-ს ინგლისის ნაკრებსა და მოყვარული ფეხბურთელებს შორის არსებული კავშირის ხაზგასმა სურდა. აღნიშნულ რაიონში დაახლოებით 90 საფეხურით მოედანია, სადაც თამაში ისეთმა ცნობილმა ვარსკვლავებმა დაიწყეს, როგორც არიან დევიდ ბექჰემი და იან რაიტი. Nike-ი მსოფლიო სპორტული საქონლის ბაზარზე ლიდერის პოზიციებს დღემდე ინარჩუნებს. 2005 წელს კომპანიის შემოსავალმა 13,7 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. კომპანიაში მსოფლიო მასშტაბით, ამ ეტაპზე 676 ათასი ადამიანი დასაქმებულია.



## ბრაუნდ ფაროს არქიტექტურული დამუშავება დასრულდა

მარაბა ლორთქიფანიძე

ნიუ იორკში, 11 სექტემბერს დასრულდა, მსოფლიოს სავაჭრო ცენტრის ადგილზე, რომელსაც ხშირად "გრანდ ზეროდაც" მოიხსენიებენ, ახალი ცათამბვჯენების მშენებლობა უკვე დაწყებულია, ერთი ამენდა კიდევ, თუმცა ამის მოუხედავად, სამის საბოლოო არქიტექტურული სახის შემუშავება ახლახანს დასრულდა.



B3

## რა ნიშანს დაიჭირა CIFA ბაზარზე

იტალიური ტექნიკით შენობა 3-4-ჯერ სწრაფად შენდება

თინა შავაძე


საცხოვრებელი სახლის, ფაბრიკის, ქარხნის და სხვა სახის შენობის ხარისხიანი მშენებლობა ბევრ ფაქტორზე დამოკიდებულია. მათ შორის, მნიშვნელოვანია მშენებლობის პროცესის თანამედროვე მანქანადანადგარების გამოყენებით წარმართვა. ამ ეტაპზე ქვეყანაში თანამედროვე სტანდარტებით რამდენიმე სამშენებლო კომპანია მუშაობს. მაგრამ ბაზარზე მშენებლებისთვის ახალი შეთავაზება გაჩნდა. გუშინ, თბილისში, მსოფლიოში ერთ-ერთი მსხვილი კონცერნის წარმომადგენლობა ოფიციალურად გაიხსნა. პროექტის პრეზენტაცია "თიბისი ბანკს" ოფისში გაიმართა. სპეციალურად პრეზენტაციისთვის საქართველოში ჩამოვიდა CIFA-ს ალმოსავლეთ ევროპის რეგიონული მენეჯერი ქლაუ ბრაუნი.



B2

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

1	ავსტრალიური დოლარი	AUD	1.3131
1	აზერბაიჯანული მანათი	AZN	1.9841
1	არაბული დირჰამი	AED	0.4751
1	აშშ დოლარი	USD	1.7450
1000	ბალარსული მანათი	BYR	0.8148
1	ბრაზილიური რეალი	BRL	1.1346
1	დანიური კრონი	DKK	0.2374
1	გერმანიული მარკა	DEM	0.3044
1	ევრო	EUR	2.2184
10	ესპანური პესეტა	ESP	1.4182
1000	ფინური მანათი	FIM	0.3356
1	ფრანკული ლარი	FRF	1.1835
10	იაპონური იენი	JPY	0.1485
1	ინგლისური პაუნდი	GBP	3.2581
1000	ირანული რიალი	IRR	0.1902
10	იტალიური ლირა	ITL	0.2431
1	ისრაელი	ILS	0.3978
1	კანადური დოლარი	CAD	1.5593
1	ლატვიური ლატი	LVL	3.1498
10	ლიტვიური ლიტა	LTL	6.4105
10	ნორვეგიული ლირე	NOK	1.3096
1	ნორვეგიული კრონი	NOK	0.2677
1	პოლონური ზლოტი	PLZ	0.5576
10000	რუმინული ლეი	ROL	0.5862
1	რუსული რუბლი	RUB	0.0852
1	სინგაპური დოლარი	SGD	1.1064
100	სომხური დრამი	AMD	0.4482
1	ტაივანური დოლარი	TWD	0.5158
1000	უზბეკური სუმი	UZB	1.4206
10	უკრაინული ჰრივნა	UAH	3.4844
100	უნგრული ფორინტი	HUF	0.8095
1	აშშ-ის დოლარი	KWD	8.0345
10	ყაზახური ტენგე	KZT	0.1395
10	ყირგიზული სომი	KGS	0.4434
1	გაბონური კრონი	GAB	0.2389
1	გაბონური ფრანკი	CFR	1.4048
1	ჩინური კრონი	CNY	0.0781
1	ჩინური იანგი	CNY	0.2199
1	ჰონგ-კონგური დოლარი	HKD	0.2243





## ჩინეთის ხელისუფლება აკონტროლებს ბედნიერების ინდექსს

ჩინეთის ხელისუფლება 2006 წლის ბოლოსთვის ეგრედწოდებულ "ბედნიერების ინდექსს" (The Happiness Index) მუშაობას დაიწყო, რომელიც ცხოვრების დონის, სამუშაო ანაზღაურების, სოციალური პარამეტრების, ინფრასტრუქტურის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით შეიქმნება. ჩინეთის მოსახლეობის მდგომარეობა და განწყობა კი "ბედნიერების ინდექსის" მაღალ მაჩვენებელს განაპირობებს. ამის შესახებ ინფორმაცია სააგენტო Reuters-ს ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა მიაწოდეს. ჯერჯერობით ცნობილი არ არის ჩინეთის ხელისუფლება ეს ინდექსს გამოთვლას ცალკეული თუ უკვე არსებული მაჩვენებლებით შეუდგება. ცნობილი ისიც, რომ "ბედნიერების ინდექსის" დადგენა სხვა ინდექსებზეც იმოქმედებს, მაგალითად ინფლაციაზე და ა.შ. 2006 წლის დასაწყისში კვლევითმა ცენტრმა New Economics Foundation-მა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების "ბედნიერების ინდექსები" უკვე გამოაქვეყნა. მსოფლიოს 178 ქვეყანას შორის ჩინეთმა 31-ე ადგილი დაიკავა.

## ჩინური ლიზინგის ბაზრის მოძრაობა

ჩინურმა ავტომწარმოებელმა FAW-მ თავისი წარმატებული სტანდარტი Hongqi HQ3-ის ახალი მოდელი კაცია წარმოადგინა, რომლის სახელწოდებაც უძველეს როგორც "ნითელი დროშა".

აღნიშნული ავტომობილი სტანდარტული წინამორბედებისგან იმით განსხვავდება, რომ მას მძღოლის განვსვადება, რომელსაც მოძრაობის განვსვადება უშუალოდ მოძრაობს. ავტომობილი Hongqi HQ3-ი, რომელსაც მძღოლი სულაც არ სჭირდება, საზოგადოებამ პირველად ჩინეთის ავტომოტოზე იხილა. ავტომობილმა საათში სამოცი კილომეტრი დაფარა, თუმცა მწარმოებლები ირწმუნებიან, რომ ავტომობილის მაქსიმალური სიჩქარე 150 კილომეტრ საათს წარმოადგენს.

ავტომობილის სივრცეში ორიენტაციას გარე კამერები უზრუნველყოფენ. ავტომობილის ბორტზე დამონტაჟებული კომპიუტერი "თვითმავალ" ავტომობილს საგზაო ნიშნების, გადასასვლელებისა და სხვადასხვა ხელისშემშლელი ფაქტორებისგან თავის არიდებაში ეხმარება.

ღირს იმის აღნიშვნა, რომ აღნიშნული ავტომობილი ბენზინის ორი ძრავით არის აღჭურვილი. აქედან ერთი საბლიტრინი ძრავაა, რომლის სიმძლავრეც 230 ცხენის ძალას უდრის, მეორე კი 4,3 ლიტრინი V8 ძრავა გახლავთ, რომელიც 280 ცხენის ძალის ტოლფასია. ამ უკანასკნელის წყალობით კი აღნიშნული ლიმუზინს საათში 250 კილომეტრის განვითარება შეუძლია.

## კომპანია Ford-მა ბილ კლინტონს ავტომობილი აჩუქა

საავტომობილო კონცერნმა Ford-მა ცნობილი ამერიკელი პოლიტიკოსს და შეერთებული შტატების ყოფილ პრეზიდენტს ბილ კლინტონს საჩუქრად Mercury Mariner Hybrid "Presidential Edition"-ი გადასცა. ასე, რომ ბილ კლინტონი ამერიკის შეერთებული შტატების პირველი პრეზიდენტი გახლავთ, რომლის უსაფრთხო გადაადგილებასაც ბენზინითა და ელექტრული ძრავით დაჭურვილი "ავტომობილი ავტომობილი" უზრუნველყოფს.

კომპანია Ford-ში აცხადებენ, რომ სტანდარტული Mercury Mariner Hybrid-ისგან განსხვავებით, პრეზიდენტის ავტომობილს მხოლოდ ტონირებული მინები, საინჟინო მაგნიტა და სალონის სპეციალური განათება განსხვავდება. ექსპერტები აცხადებენ, რომ თუნდაც ყოფილი პრეზიდენტის ავტომობილი, აუცილებლად ბრონირებული უნდა იყოს. მათი მტკიცებით, პრეზიდენტის პირობადული ავტომობილის უსაფრთხოების ოფიციალური ლიმუზინის ზომები რეალურს არ შეესაბამება.

უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალური ვიზიტების დროს პრეზიდენტის კორტეჟი 35 ავტომობილისგან შედგება. ქვეყნის პირველი პირის ბრონირებული ლიმუზინის გარეშე მოკიდებულ მძღოლებს პოლიციის, უსაფრთხოების სამსახურის, ადმინისტრაციისა და ჟურნალისტებისთვის განკუთვნილი სპეციალური ავტომობილები მოძრაობს.

# ბრაუნდ ფაროს არქიტექტურული დაუბავება დასრულდა

პირველი ავარიონი



WTC Site - გრუნდ ზეროს პროექტი. მარცხნიდან: ფრიდომ ტაუერი, ფოსტის რიგობის და მაკის ცათამბეჭედი 11 სექტემბრის მემორიალის ირგვლივ.

სამი ცათამბეჭენის ახალი პროექტი, მანჰეტენის მაკეტთან ერთად, საზოგადოებას სამა არქიტექტორმა - ბრიტანელმა, ნორმან ფოსტერმა და რიჩარდ როჯერსმა, ასევე იაპონელმა ფუმუჰიო მაკიმ წარუდგინეს. ახალი ცათამბეჭენები გრუნდ ზეროს სკეერი დაამუშვენ და ნიუ იორკის ახალი სახეები გახდებიან. მათი შენელობა კი, სავარაუდოდ, 2012 წელს დასრულდება.

სამი ცათამბეჭენის სამალეობა - 411, 382 და 288 მეტრი. შევასენებთ, რომ ამჟამად ქალაქის ყველაზე დიდი შენობა "ემპაირ სტიტ ბილდინგი" (443 მეტრი), რომელსაც წელს 75 წელი შეუსრულდა. მალე მას პირველობას "ფრიდომ ტაუერი" (ამერიკელი დევიდ ჩაილდის არქიტექტურა) ჩამოართმევს, რომლის სიმაღლე 541 მეტრი იქნება. გრუნდ ზეროს შენელობა დაახლოებით 11 მილიარდი დოლარი დაეგება. "ფრიდომ ტაუერი" ერთად, სამი ახალი ცათამბეჭენი ნიუ იორკს 8.8 მილიონ კვადრატულ ფუტ საოფისე ფართს შემატებს. თუმცა, ამით სრულად მაინც ვერ ანაზღაურდება "ტენი ტაუერის" საოფისე ფართის დაზარალი, რომელიც მსოლიონ მილიონ კვადრატულ ფუტს შეადგება.

სამი ახალი ცათამბეჭენი ყველაზე გამორჩეული და ლამაზია ფოსტერის ნაშუქვარი, რომელიც ერთ შენობაში ოთხ, წერილ კომპს აერთიანებს, თითოეული კი ნაკვეთი კენწერთი ბოლოდება. კენწერთების დახრა მემორიალისკენა მიმართული და ისეთი შთაბეჭდილებას ქმნის, თითოეული ცათამბეჭენს ტერაქტისა დაუპოლი ადამიანების სსოვნის ნიშნად, ქედა აქვს მოხრილი.

"თუ ჩემს მიერ შემოთავაზებულ ცათამბეჭენს შეხედავთ, ნაკვეთი კენწეროები მიგანიშნებთ, თუ საით

მდებარეობს მემორიალი", - პრეზენტაციან განაცხადა ფოსტერმა. როჯერის ცათამბეჭენის დახრა სიახლელი ნიშანია გარე დივანონა ლური საყრდენები, კომპს კი ოთხი ანტენა (თითოეულის სიმაღლე იქნება 30 მეტრი) ავერგინებს, რომლებიც შენობის ყოველ კუთხეში დადგმება. "არჩევანი უნდა გამეკეთებინა ვითიურ და კლასიკურ სტილს შორის. მე კი მათი შეხამება გამჯობენ, ჩემი ცა-

თამბეჭენი თითქოს მინიდან ამოზარდა და ცისკენ მიიწევს", - ამბობს როჯერსი. უნდა ითქვას, რომ მუშაობის პროცესში არქიტექტორები ერთმანეთს აზრებს უზიარებდნენ და რჩევებსაც აძლევდნენ. მაკეტზე ჩანს, რომ მათი რწმობებიანი ერთიან, პარმირულ სუქსის შექმნის. ახალი ცათამბეჭენები ისეთივე დომინანტები გახდებიან, როგორებიც ერთ დროს "ტყუბი კომ-

# "ფორდს" ახალი ბიზნესი

## მარკა ლორმთქვანინი

ამერიკული კომპანია "ფორდ მორტორის" დირექტორთა საბჭომ, კომპანიის მთავარი აღმასრულებლის პოსტზე დანიშნა ამერიკულ ავიამშენებელ კომპანია "ბონისის" ყოფილი აღმასრულებელი აღან მიულაელი. ამგვარად, ნერტილი დაესვა "ფორდს" სათავეში მისი დამაარსებლის, ჰენრი ფორდის შთამომაველი ბილ ფორდ უმცროსის ყოფნას.

ბილ ფორდი კომპანიის ხუთი წელი ხელმძღვანელობდა. სწორედ მის დროს გაღრმავდა ძლიერი ფინანსური კრიზისი, რომლის გამოც, ფორდმა რესტრუქტურზაცია დაიწყო, თუმცა მისი წარმატებით განხორციელება ვერ შეძლო. ბოლი ხანებში, ბილ ფორდს აშკარად ეტყობოდა, რომ ის თავს ვერ ართმევდა დაქსირებულ მოვალეობას, რის გამოც, თავისი შემცველობის ძებნა დაიწყო. დიდი ხნის მოლაპარაკებათა შემდეგ, მან მთავარი აღმასრულებლის პოსტის დაკავებაზე დაითანხმა მიულაელი, რომელმაც არცთუ დიდი ხნის წინ, სახელი გაითქვა იმით, რომ კრიზისიდან გამოიყვანა "ბონიგი". ამგვარად, მიულაელი ავტონდუსტრიის ისტორიაში ხდება სხვა სფეროდან მოსული პირველი მენეჯერი, ვინც დიდი ავტოკომპანიის წამყვან თანამდებობას დაკავებს.

პარალელურად, ბილ ფორდი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობას შეინარჩუნებს. ცნობილი ფორდის მმართველობისას განხორციელებული რადიკალური ზომების მიუხედავად, ამ წლის დასაწყისიდან კომპანია უზარმაზარი ზარალი (1.44 მილიარდი დოლარი) განიცადა. გარდა ამისა, "ფორდის" გაყიდვები ამ-ში (მისი ძირითადი ბაზარია) დაახლოებით ათი პროცენტით შემცირდა.

ცოტა ხნის წინ, ბილ ფორდმა განაცხადა, რომ კომპანიის ხელმძღვანელი თანამდებობის დასაკავებლად, ის გარედან აპირებდა ასეთ საქმეში გამოცდილი მენეჯერის მოყვანას. იმ მომენტში მან უკვე იცოდა, რომ მის წინადადებას დათანხმდა აღან მიულაელი. "ბონიგიდან" მოსული მენეჯერის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იქნება "ფორდის" გაყიდვების გამოცვლა. განსაკუთრებული ყურადღება კი უნდა მიექცეს პიკაპებისა და უგზობის ავტომობილების კლასებს, რომლებზეც ბევრად და მოკიდებული "ცისფერი ოვალის" კეთილდღეობაა. ამასთან, ბილ ფორდი ახალ ხელმძღვანელს ავალებს, რომ მან უნდა შეძლოს სე-



Alan Mulally, left, and Bill Ford - აღან მიულაელი (მარცხნივ) და ბილ ფორდი.

დანების კლასში "ფორდის" მონიშნავე პოზიციებზე დაბრუნება. "ჩვენ გვირგვინი ისეთი მენეჯერის მოყვანა, რომელსაც მსგავსი კრიზისები სხვა, არასავტომობილო კომპანიაში დაუძლევი. ალბათ, არავინ შემომხედებდა იმის, რომ ცოტა ხნის წინ, "ბონისის" ჩვენი მსგავსი კრიზისებიდან გამოვიყვანა. პოდა, აღან მიულაელი ის კაცი, ვინც ეს ავიანდგინდა კრიზისიდან გამოიყვანა", - ნათქვამია ბილ ფორდის მიერ "ფორდის" აქციონერებისადმი გაგზავნილი წერილში.

სხვათაშორის, რაც ბილ ფორდი კომპანიის სათავეში ჩაუდგა (2001 წელს), მას შემდეგ "ფორდის" აქციონერების ღირებულება თითქმის 60 პროცენტითა შემცირებული. იმავე პერიოდში, აშშ-ის ბაზარზე "ფორდის" წილი 23-დან 17 პროცენტამდე შემცირდა. სამაგეროდ, როგორც კი ცნობილი გახდა, რომ "ფორდის" მიულაელი ჩაუდგება სათავეში, აქციების ფასი 4 პროცენტით გაიზარდა.

იმის მთავარი მიზეზი, რომ ბილ ფორდის მიერ დაწყებულმა რესტრუქტურზაციამ შედეგი არ მოიტანა, სხვაზე ფასების უსაშველო გაძვირება გახდა. ამ გაძვირებას მოჰყვა აშშ-ის ბაზარზე პიკაპებისა და უგზობის ავტომობილების მოთხოვნის შემცირებულობა. ამან კი ყველაზე მეტად ორი ამერიკული კომპანია - "ჯენერალ მორტორის" და "ფორდი" აზარალა.

ივლისში ბილ ფორდმა "ფორდის" დირექტორთა საბჭოს განუცხადა, რომ სხვა კომპანიიდან ძლიერი მენეჯერის მოხვევას აპირებდა. მან ისიც აღიარა, რომ მოლაპარაკება შეეცადა "რენო/ნიასის" მთავარ აღმასრულებელსა და პრეზიდენტ კარლოს გოსთან.

"მე შევხვდი საბჭოს წევრებს და განუცხადე, რომ ჩემზე მეტისმეტად ბევრი პასუხისმგებლობა იყო და ამდენ საქმეს ვერ აუღლებდი. თანაც, ჩვენ გვყავს მეტისმეტად ახალგაზრდული მენეჯერები, რომელსაც აქავინ კრიზისებიდან აღიწერა. თანაც, მე ვეგრა, რომ კომპანიის კრიზისიდან გამოვიყვანა ისეთი პიროვნება, ვისაც აქვს მსგავსი კრიზისის დროს დიდი კომპანიების ხელმძღვანელობის და კრიზისის დაძლევის გამოცდილება", - განაცხადა 49 წლის ბილ ფორდმა.

61 წლის მიულაელმ იმით გაითქვა სახელი, რომ სერიოზული კრიზისი დააძლევინა ამერიკული აეროკოსმოსურ გიგანტ "ბონისს", ვისაც გაყიდვებში, ბოლი ხუთი წელია, მთავარი კონკურენტი, ევროპული "ეარბაის" სჯობინდა. მაგრამ ჩატარებული რესტრუქტურზაციის შემდეგ, ჩიკაგოში ბაზირებულმა კომპანია კვლავ დაიკავა მსოფლიოს ავიანდუსტრიაში მონიშნავე პოზიციის პოზიცია.

"ბონისის" სათავეში დანიშნვისთანავე, მიულაელმ მნიშვნელოვნად მოსყარა "ბონისის" შეცვლა მიმდებლეთა რაოდენობა, პროფკავშირებთან ურთიერთობაში მკაცრი პოზიცია დაიკავა და წარმოების პროცესი ისე შეცვალა, რომ ის გააკვეთილიდა საავტომობილო ქარხნის პრინციპებით ამუშავდა - ამიერიდან, კომპანიის ამწყობ ქარხნებში, აწყოების სტადიაში მყოფი ლაინერები ეგრეთ წოდებული საწარმოო ხაზის გასწვრივ მოძრაობენ.

"მან დაწვრილებით შეისწავლა საავტომობილო ინდუსტრია და მისი პრინციპები "ბონისისთვის" გამოიყენა. ახლა კი საპრობლემი პროცესის განხორციელება მოუწევს - ავი-

კუბი" იყო. ყველაზე სადაა იაპონელი არქიტექტორის ნაშუქვარი, რომელიც გარედან გისოსებშია მოქცეული, შგნიდან კი, თითქოს ცარიელია. შუშები მზის სინათლეს არეკლავს და ამის წყალობით, ცათამბეჭენი დღის განმავლობაში ილამალებს. ჩენი მიზანი მინიმალზმი და პრავმატზმი იყო - ამბობს მაკი.

სამივე შენობაში რამდენიმე სართულს სავაჭრო პავილიონები დაიკავენ, რაც გამოაცხვლებს ქედა მანჰეტენის ცხოვრებას. ერთია, არქიტექტორები შეთანხმდნენ, რომ მალაზიებს არ ექნება ხედი მემორიალზე.


სამი არქიტექტორის მიერ წარმოდგენილ ცათამბეჭენთა პროექტები სრულად შეესაბამება დანიელ ლებსკინდის გენერალურ გეგმას, რომელიც მემორიალის გარშემო ოთხი სხვადასხვა, მზარდი მიმდევრობით განლაგებული ცათამბეჭენის აგებას ითვალისწინებს. გეგმის მიხედვით, ცათამბეჭენები აშენდება მემორიალის ცენტრში აგებული ორი მადრეცნის ირგვლივ, რომლებიც ზუსტად დანერგული ტყუების ადგილზე გაკეთდება.

შეგახსენებთ, რომ 11 სექტემბრის ტრაგედიამდე ორი კვირით ადრე, მსოფლიოს სავაჭრო ცენტრის ტყუბი ცათამბეჭენი 99-წლიანი ლიზინგით აილი სამშენებლო მანაგტამ ლარი სოვირმტაინმა, რომელმაც ტერაქტის შემდეგ, ტრაგედიის ადგილის ხელახლა ასაშენებლად, ფოსტერი, როჯერსი, მაკი და ჩაილდის დაიქირავა.

შეგახსენებთ, რომ ჩაილდის მიერ შემუშავებული "ფრიდომ ტაუერის" პროექტი საზოგადოების წინაშე ამ წლის დასაწყისში წარადგინეს, სხვადასხვა საკითხთა საბოლოო შეთანხმების შემდეგ კი, მისი მშენებლობა აპრილიდან დაიწყო. ცნობისათვის, ტყუბი ტყუის შორის უფრო მაღალიან შედარებით, "ფრიდომ ტაუერის" სიმაღლე 124 მეტრით მეტი იქნება.

## აშშ-ს ბირჟაზე კვლავ ზრდაა

გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა ზრდა გავრცელდა. მიუხედავად იმისა, რომ ფედერალური სარეზერვო ფონდის მიერ ძირითადი საპროცენტო განაკვეთის გაზრდის შესაძლებლობა ინვესტორთა განწყობაზე ერთობ უარყოფით გავლენას ახდენს, გაჭრობის მიმდინარეობაზე დადებითი აისახა ნავთობის ფასის კლება და რამდენიმე დამამიედებელი კორპორაციული სიახლე, რომელთაგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მაღალტექნოლოგიური კომპანიების RCN Corp-ის და Energy Conversion Devices Inc-ის აქციების გაძვირება. საბოლოოდ, Dow Jones Index 0,02 პროცენტით, 11,499,69 პუნტამდე გაიზარდა. 0,15 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2,219,21 პუნტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,04 პროცენტით, 1,313,58 პუნტამდე მოიმატა.



## ნავთობის ფასი 64 დოლარი/ბარელს ჩამოსცდა

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიჭურსების (სამომავლო კონტრაქტები) ფასების კლება კვლავ გავრცელდა, რაც სექტემბერი ნავთობის უკვე ზედმედ მეფიდვ გათვება გახლავთ. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 63,1 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 63,88 დოლარი/ბარელამდე გაიფადა, რაც მიმდინარე წლის მარტის ბოლოდან დაფიქსირებული მინიმალური მაჩვენებელია.

ნავთობის გათვებას კვლავინდებურად ხელს უწყობს ირანის ირგვლივ დაძაბულობის შემცირება, ოპეკის ქვეყნებიდან ბაზრისათვის "შავი ოქროს" შეუფერხებლად მიწოდება, მსოფლიოში ნავთობის მოხმარების შემცირების მოლოდინი და აშშ-ში ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საკმარისი უარავის არსებობა. შესაძლოა, ნავთობის ფასის კლებაზე უარყოფითი ნაგლენა მოახდინოს ნიგერიაში დღეს დაწყებულმა ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების მუშაობა გაფიქვამ, რომლებიც ოპეკის ოპოზიციის შეარადებული ბანკების თავდასხმისაგან სიმეფო დაცვას ითხოვენ. თუმცა, როგორც კომპანია Shell Nigeria-ს ხელმძღვანელობა ირწმუნება, გაფიქვა ნიგერიიდან ნავთობის ექსპორტზე გავლენას არ მოახდენს.

## ძირფასი ლითონები კვლავ გაიზარდა

გუშინ, ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე ოქროს და სხვა ძვირფასი ლითონების ფიჭურსებზე კვლავ ფასების კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 უნცია ოქრო 0,5 პროცენტით, 594,3 დოლარამდე გაიფადა, ვერცხლის ფასმა 0,9 პროცენტით, 11,14 დოლარი/უნციაზე მოკლდა, პლატინა 0,3 პროცენტით, 1196,8 დოლარი/უნციაზე, პალადიუმი კი 0,2 პროცენტით, 314,47 დოლარი/უნციაზე გაიფადა.

ანალიტიკოსთა აზრით, ოქროსა და სხვა ძვირფას ლითონებზე ფასების კლება ნავთობის გათვებასთან ერთად დოლარის კურსის გამყარების გამო შესყიდვებისადმი ინტერესის კლებაზე განაპირობა. თავის მხრივ, დოლარის კურსის გამყარებას ხელს უწყობს ფედერალური სარეზერვო ფონდის მიერ ძირითადი საპროცენტო განაკვეთის გაზრდის მოლოდინი, რაც აშშ-ს უარყოფითი სავაჭრო ბალანსის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის შემდეგ კიდევ უფრო რეალური გახდა, და ნავთობის უაღრესად დაბალი ფასი.

## MAN-ს Scania-ს მძინა სურს

გაზეთ Financial Times-ის ინფორმაციით, სატვირთო ავტომობილების გერმანული მწარმოებელი MAN თავისი შვედის კონკურენტის, Scania-ს შექმნათა დანტერესებული. როგორც ცნობილი გახდა, MAN-მა Scania-ს უმსხვილეს აქციონერთან, აქციების 34 პროცენტის მფლობელ გერმანულ კონცერტს Volkswagen-თან მოლაპარაკებები უკვე წამოიწყო. სავარაუდოდ, გარიგებაში ჩართული იქნება კომპანიის ბრაზილიური საწარმოები, თუმცა, Volkswagen-ის წარმომადგენლები ჯერ საბოლოო პასუხს არ ამბობენ.

აღნიშნული მოსალოდნელი გარიგების გამო სტოკჰოლმის საფონდო ბირჟაზე Scania-ს აქციების ფასმა 9,3 პროცენტით მოიმატა და სარეკორდო 389,5 შედურ კრონს მიაღწია. ამგვარად, კომპანიის კაპიტალიზაცია 77 მილიარდი კრონს (10,6 მილიარდი დოლარი) შეადგენს. 2,5 პროცენტით, 60,65 ევრომდე მოიმატა MAN-ის აქციებმაც და კომპანიის ღირებულება 8,9 მილიარდი ევრო (11,3 მილიარდი დოლარი) გახლავთ.

MAN-ის მთავარმა აღმასრულებელმა დირექტორმა შაკან სემუელსონმა, რომელიც თავის დროზე Scania-ს მენეჯერი გახლავთ, განაცხადა, რომ ბაზრის ლიდერებთან დასაწევად კომპანიის გაყიდვები სამჯერ უნდა გაიზარდოს და ამიტომ მზად არის ნებისმიერ კონკურენტთან შერწყმის შესახებ მოლაპარაკებები აწარმოოს.

## Alcatel-მა და Lucent-მა შეთანხმებას მიაღწიეს

ფრანგული კომპანია Alcatel-ის აქციონერებმა ამერიკული კონკურენტი Lucent-თან შერწყმას მხარი დაუჭირეს. აღნიშნული გარიგების შესახებ მოლაპარაკებები ჯერ კიდევ მიმდინარე წლის აპრილში დაიწყო და მას აშშ-ს და ევროკავშირის ანტიმონოპოლიურმა სამსახურებმა მხვანე შუქი მალევე აუწიეს, მაგრამ მხარეებმა შენახმებას აქამდე ვერ მიაღწიეს. ახლა კი, ცნობილი გახდა, რომ გარიგების ღირებულება 8,4 მილიარდი ევრო (10,7 მილიარდი დოლარი) იქნება.

ახალი კომპანია Alcatel-Lucent სატელეკომუნიკაციების ტექნიკის ბაზარზე პირველობისათვის Cisco Systems-თან ბრძოლაში, ახლანდრომქმნილი გიგანტის შტაბ-ბინა პარიზში გათავადდება და მისი გაყიდვების წლიური მოცულობა 25 მილიარდი დოლარს მიაღწევს. სავარაუდოდ, გარიგებაში მონაწილე კომპანია 9 ათას სამუშაო ადგილს შეამცირებს, რაც დაწახარჯვს 1,7 მილიარდი დოლარით შეამცირებს.



“ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს” / “ემ-სი-ჯი” რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების (რიგ) პროექტი მოთხოვნა საბრანტო წინადადების წარმოსადგენად და საზოგადოებასთან კონსულტაციების გზაზე

საქართველოს მთავრობამ აშშ-ს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციისგან (“ემ-სი-ჯი”) მიიღო 295,3 მილიონი აშშ დოლარი გრანტის სახით, რომლის მართვას ახორციელებს “ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს” (“ემ-სი-ჯი”).

პროექტის ფარგლებში მიმდინარე საქმიანობის შესახებ და “საგრანტო განაცხადის წარმოდგენის სახელმძღვანელო” პრეზენტაცია ინფორმაცია საკონსულტაციო შეხვედრების შესახებ განთავსებულია “ემ-სი-ჯი”-ს (www.mcf.org.ge) და მგფ-ის (www.mdf.org.ge) ვებგვერდებზე.

“საგრანტო განაცხადის წარმოდგენის სახელმძღვანელო” და განაცხადის ფორმა დაინტერესულ პირებს შეუძლიათ იხილონ ბმულზე www.mdf.org.ge/geo/RID/Guideline.pdf ან მოითხოვონ მგფ-გან ქვემოთ მოცემულ მისამართზე. წინადადებები მიიღება მგფ-ში 2006 წ. 18 სექტემბრიდან 2006 წ. 30 დეკემბრამდე. საპროექტო წინადადებების შეფასების საბოლოო შედეგები ცნობილი იქნება 2007 წ. 30 მარტს.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართებზე:

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ) თბილისი 0105, იეთიმ გურჯიას ქ. N78, მიაი გიქოშვილი, პროექტის მართვის უფროსი სპეციალისტი ტელ.: 943240 ფაქსი: B940439 E-mail: mgikoshvili@mdf.org.ge

ან

ფონდი ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს (“ემ-სი-ჯი”) სათუნა კუნჭულია, როგორც პროექტის კოორდინატორი ტელ.: 50 77 70 ფაქსი: 93 91 11 E-mail: k.kunchulia@mcg.ge

რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის ახორციელებს: მგფ



საქართველოს ენერგეტიკის აკადემია აცხადებს კონკურსს

კაბელების დამატებითი შესყიდვა ელექტროენერჯის აღრიცხვის კვანძების მოსაწყობად

შპს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის”

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

კაბელების შეყენის შესახებ

შპს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა”(სსე) აპირებს შესყიდოს კაბელები:

Table with 3 columns: №, მოსაწოდებელი საქონლის მოკლე დასახელება, რაოდენობა (მეტრი)

მოწოდების მსურველმა (პრეტენდენტმა) უნდა გაითვალისწინოს შემდეგი პირობები:

- 1. მიწოდების მისამართი: ქ. თბილისი, ქიშნარაულის ქ. N29;
2. მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 40 კალენდარული დღის განმავლობაში;
3. ანგარიშსწორება განხორციელდება მიწოდების დასრულებიდან 15 კალენდარულ დღეში.

კონკრეტების გახსნა მოხდება პრეტენდენტთან თანდასწრებით, 2006 წლის 22 სექტემბერს 12:00 საათზე.

ტელეფონი: 989816, Web - www.gse.com.ge

ლაგოდეხის რაიონის გამგეობის მიერ 3 ივლისს გამოქვეყნებულ ტენდერში ქ. ლაგოდეხის N1 საშუალო სკოლის კაპიტალური შეკეთების სამუშაოზე გამარჯვებულად გამოვლინდა ი/მ “მეველი ალდაშვილი”.

ლაგოდეხის რაიონის გამგეობის მიერ 20 ივნისს გამოქვეყნებულ ტენდერში ჭიათურის ტყის სარგებლობითი სამუშაოზე გამარჯვებულად გამოვლინდა შპს “რანი 2006” დირექტორი სოლომონ გავუნაშვილი.

მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს 17 საათზე ტარდება ს.ს. “მემონტაჟის” აქციონერთა კრება

დღის წესრიგი : განვლილი პერიოდის ანგარიში არჩევნები

გთხოვთ აქციონერებს მოზარდნდეთ მისამართზე: ქ. ქუთაისი 9 აპრილის N 5

სამეთვალყურეო საბჭო

საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდი (სსგფ) და აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდი (CRDF) აცხადებენ ახალბაზრად მეცნიერებისა და ინჟინერების მხარდაჭერის საბრანტო პროგრამას

ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ 2006 წლის 7 სექტემბერს, საერთო სასამართლოებში VPN-ისა (ვირტუალური ქსელი) და ინტერნეტით მომსახურების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

UTP RJ45 პორტებზე; - გამოყოფილი არხების სიმძლავრეები: Table with 4 columns: №, სასამართლო, მისამართი, გამოყოფილი არხის სიჩქარე ცენტრამდე

განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს გენერალური პროკურატურა აცხადებს ტენდერს კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვაზე და ინვესტორს დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

- 1. მიწოდების სასურველი ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.
2. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ერთი ორიგინალის სახით 4 ოქტომბერს დღის 10:00 საათიდან 16:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს გენერალური პროკურატურა, გორგასლის ქ. N24, ოთახი 214.
3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის (ტენდერში მონაწილე) ქონებაზე არ არის აყვანა დადებული;
4. წარმოდგენილ უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის (მათი არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

